

არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს
პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“
(ზაფი) დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და ფინანსური
ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2015 წლის 31 დეკემბერს

№	სარჩევი შინაარსი	გვ.
1	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
2	აუდიტორული დასკვნა	4
3	„ბაფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	6
4	მოგება-ზარალის ანგარიშგება	7
5	ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	8
6	საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
7.	წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	10
8.	ბალანსის ახსნა-განმარტებები	12
9.	სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები	16
10.	ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები	18

ანგარიშგებაზე, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბრით

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ასახავს საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და წმინდა აქტივების ცვლილებას, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვასთან ერთად, მოიცავს:

- ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა ან პრევენცია;
- განცხადებას, არის თუ არა არჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით შეუსაბამისია თუ არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ბაფის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების ამორჩევასა და გამოყენებაზე;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, ადგილობრივ კანონმდებლობისა და სტანდარტების დაცვით იმ იურისდიქციაში, რომელშიც ფედერაცია მოქმედებს;
- ბაფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენციისათვის საჭირო ზომების გატარებაზე, მათ აღმოჩენასა და აღმოფხვრაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

აუდიტორული დასკვნა

ააიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუნდის“ აუდიტორებმა ვალერი აბრალავამ (სერთიფიკატი ზოგად აუდიტში ს №6/276; საჯარო სექტორის აუდიტორის სერთიფიკატი № 0003) და ვაჟა კობიაშვილმა (სერთიფიკატი ზოგად აუდიტში ზ 5/572) ააიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისა“ („ბაფი“) და შპს „კომპაუნდს“ შორის 2016 წლის 25 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩავატარეთ ააიპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს:

- საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის, „ბაფი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) აუდიტს;
- საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების აუდიტს (მოგება-ზარალის ანგარიშგება);
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების აუდიტს;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების აუდიტს, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის საჭირო შიდა კონტროლის სისტემის შექმნას და გამოყენებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეცდომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი შეცდომის გამოვლენა ან პრევენცია; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას, სააღრიცხვო შეფასებების გონივრულგამოყენებას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა

აუდიტორთა პასუხისმგებლობაა, ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვან მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები აუდიტორებისაგან მოითხოვს, რომ დაიცვან ეთიკის მოთხოვნები და დაგეგმონ და განახორციელონ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს ზაფის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობას და 2015 წლის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში ცვლილებებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდი“

დირექტორის მინდობილი

პირი: ნუგზარ ხიჯაკაძე

აუდიტორები:

ვალერი აბრალავა

ვაჟა კობიაშვილი

თბილისი

2016 წლის 13 მაისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

აქტივები	31.12.2015	31.12.2014
ბრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები, ნეტო	1) 93 963	101 154
არამატერიალური აქტივი	2) 7 586	8 628
ინვესტიციები სხვა საწარმოებში	<u>306 400</u>	<u>306 400</u>
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>407 949</u>	<u>416 182</u>
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3) 104 115	113 373
მოთხოვნები და წინასწარი გადახდები	4) 208 241	246 816
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5) <u>746 214</u>	<u>594 910</u>
სულ მიმდინარე აქტივები:	<u>1 058 570</u>	<u>955 099</u>
სულ აქტივები:	<u>1 466 519</u>	<u>1 371 281</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
ბაზის განვითარების ფონდი	1 254 495	1 296 676
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	<u>98 978</u>	<u>-42 181</u>
სულ კაპიტალი და რეზერვები	<u>1 353 473</u>	<u>1 254 495</u>
ბრძელვადიანი ვალდებულებები		
გადავად.მოგების გადასახადი	0	0
გადავადებული შემოსავლები	6) <u>3 830</u>	<u>3 987</u>
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>3 830</u>	<u>3 987</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7) 104 800	107 815
საგადასახადო ვალდებულებები	8) <u>4 416</u>	<u>4 984</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>109 216</u>	<u>112 799</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>1 466 519</u>	<u>1 371 281</u>

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)

		<i>2015წ.</i>	<i>2014წ.</i>
ამონაგები	9)	475 064	512 077
სხვა შემოსავალი	10)	554 642	402 200
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(9 258)	4 055
შესრულებული და კაპიტალიზებული სამუშაო		-	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულების შექენა		(78 951)	(92 120)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(494 920)	(505 998)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(24 077)	(24 462)
შექენილი მომსახურების ხარჯები		(178 368)	(208 361)
საკურსო სხვაობის ხარჯები		(6 833)	(2 400)
საგადასახადო ხარჯი		(979)	(1 106)
სხვა საოპერაციო ხარჯი	11)	<u>(137 342)</u>	<u>(126 066)</u>
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>98 978</u>	<u>(42 181)</u>
ფინანსური დანახარჯები		-	
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>98 978</u>	<u>(42 181)</u>
მოგების გადასახადი	12)	<u>-</u>	
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>98 978</u>	<u>(42 181)</u>

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	2015წელი	2014წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	510187	579281
საწევრო შენატანები	141824	146767
მიღებული დივიდენდი	127500	102011
სხვა საოპერაციო შემოსავლები	41354	45987
კურსთა შორის სხვაობა	149339	34607
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(91577)	(135128)
გადახდილი ხელფასები	(420781)	(426089)
გადახდილი საწევრო	(11115)	(8711)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპ.ხარჯებზე გადახდები	(118728)	(165621)
გადახდილი გადასახადები	(157479)	(165779)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	170 524	7 325
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღ.შემოსავალი	0	0
ძირითადი საშუალებების შეძენა	(19220)	(20586)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	-19 220	-20 586
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	151304	-13 261
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	594910	596993
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	746214	608171

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	ბაზ-ის ბანკითარების ფონდი
31.12.2013 წაშთი	-	1 296 676
გადატანა გასული წლების რეზერვებში		
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		(42 181.00)
31.12.2014 წაშთი	-	1 254 495
გადატანა გასული წლების რეზერვებში		
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი		98 978.00
31.12.2015 წაშთი	-	1 353 473

წლიური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

1. ზოგადი განმარტება

ბაფი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს (კავშირს). იგი საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე სათაო ოფისისა (ქ. თბილისი) და 9 რეგიონალური და რაიონული ფილიალის მეშვეობით. ბაფი, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, ახორციელებს საქართველოს კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებას, საკანონმდებლო სფეროს ლობირებას, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნასა და გამოცემას. ეკონომიკური საქმიანობა მისი დამხმარე ფუნქციაა რომელიც, ძირითადად, უკავშირდება სპეციალისტების გადამზადებასა და პროფესიულ სერტიფიცირებას.

ბაფისა და მისი ფილიალების მოცემული ნაერთი ბალანსი შედგენილია მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტების საფუძველზე, წინასწარ მომზადებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და ანგარიშთა გეგმის გამოყენებით.

2. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

ნაერთი ბალანსი მოიცავს მისი ფილიალების ანგარიშგებებს. კერძოდ, მასში ჩართულია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- გურიის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- ხაშურის რაიონული ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

ნაერთ ანგარიშგებაში შიდა ოპერაციებით წარმოშობილი მოთხოვნები და ვალდებულებები ელიმინირებულია.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია

წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

№№	ჯგუფების დასახელება	ცვეთის ნორმა %
1	ოფისის აღჭურვილობა	20-30
2	ავეჯი და სხვა ინვენტარი	25-50
3	სარტანსპორტო საშუალებები	10-15

სხვა საწარმოში მონაწილეობა ბალანსში წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ბალანსში ასახულია შეძენის, დამზადების თვითღირებულებასა და ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესი გასაყიდი ფასით. მარაგების შეფასებისას გამოყენებული იყო “ფიფო” მეთოდი.

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით..

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები ასახულია იმ თანხით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ბალანსის შედგენიდან 12 თვეში. გრძელვადიანი ვალდებულებები წარმოადგენს გადავადებულ შემოსავლებს (რომელიც გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლფასია) .

შემოსავლები

რეალიზაციიდან შემოსავლები აღიარებულია ბაფის მხრიდან რისკების გადაცემის მომენტში. შემოსავლები შემცირებულია ფასდათმობებისა და დაბრუნებული რეალიზაციის თანხებით. შემოსავლები, როგორცაა ფულადი გრანტი, შემოსავალში ასახულია მათი გამოყენების მომენტში. არაფულადი აქტივის სახით მიღებული შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მათი გაყიდვისა და ცვეთის

დარიცხვის შესაბამისად. საწევროები დარიცხულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის მდგომარეობით.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

ბალანსის ახსნა-განმარტებები

ბრკელგაღიანი აქტივები

შპს. №1

1) ძირითადი საშუალებები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.15	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.14
	შექმნის ღირებულება				
1	ბიბლიოთეკა	4 475	256	147	4 366
2	ოფისის აღჭურვილობა	102 606	13 281	10 340	99 665
3	ავეჯი და ინვენტარი	89 161	2 670	1 723	88 214
4	სატრანსპორტო საშუალება	48 739			48 739
	ჯამი	244 981	16 207	12 210	240 984
	ცვეთა	ნაშთი 31.12.15	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.14
1	ბიბლიოტეკა	-			-
2	ოფისის აღჭურვილობა	71 377	10 250	10 185	71 312
3	ავეჯი და ინვენტარი	59 241	8 003	1 680	52 918
4	სატრანსპორტო საშუალება	20 400	4 800		15 600
	ჯამი	151 018	23 053	11 865	139 830
	საბალანსო ღირებულება	93 963			101 154

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით. აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე არ მომხდარა.

შპს. №2

არამატერიალური აქტივები

	ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.15	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.14
შეძენის ღირებულება					
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“	3 254		306	3 560
2	საბუღ. პროგრამა „სუპერფინი,,	618			618
3	პროგრამა ICS	2 225			2 225
4	ლიცენზია Strados Studio	5 467			5 467
	ჯამი	11 564	-	306	11 870

	ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.15	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.14
1	საბუღ. პროგრამა „ორისი“ ამო.	1 909	172	288	2 025
2	საბუღ. პროგრამა „სუპერფინი,, ამორ.	590	121	-	469
3	პროგრამა ICS-ის ამორტიზაცია	932	184		748
4	ლიცენზია Strados Studio	547	547		-
	ჯამი	3 978	1 024	288	3 242
	საბალანსო ღირებულება	7 586			8 628

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მიმდინარე აქტივები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება შემდეგი ძირითადი ჯგუფებისაგან:

შენ. №3

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

დასახელება	თანხა 2015წ	2014წ
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	1834	2011
ორისის პროგრამა	2985	346
მზა პროდუქცია, წიგნები	97246	89227
სხვა ს.მ., დაუმთ.წარმოება	2050	21789
სულ სასაქონლო მატ.მარეგები:	104115	113373

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა “ორისი”. მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA-ს სახელმძღვანელოები. დაუმთავრებელ წარმოებაში - ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.

შპს. №4

მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

დებიტორულ დავალიანებას გააჩნია შემდეგი სტრუქტურა:

დასახელება	2015 წ	2014 წ
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	34412	43741
მოთხოვნები წევრებთან	232965	246894
საეჭვო მოთხოვნების (საწევრო) კორექტირება	-69546	-52902
მოთხოვნები პერსონალთან	2072	3
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	3817	5290
წინასწარ გადახდილი გადასახადები	4521	3790
სულ მოთხოვნები და წინასწარი გადახდები:	208241	246816

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ბაფის ფულადი სახსრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში ეროვნული და უცხოური ვალუტის სახით, ქ. თბილისის და ფილიალების ოფისის ადგილმდებარეობის ბანკებში. მათი სტრუქტურა შემდეგია:

შპს. №5

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

დასახელება	2015წ	2014 წ
ნაღდი ფული საღაროში	100	216

ეროვნული ვალუტა ბანკში	338650	79217
უცხოური ვალუტა ბანკში	407464	515477
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვ.	746214	594910

უცხოურ ვალუტაში კონვერტირების პრაქტიკას ბაფი იყენებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებიდან მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით.

გადავადებული შემოსავლები

გადავადებული შემოსავლების მუხლი აერთიანებს შემდეგ სამომავლო შემოსავლებს:

შპს. №6

გადავადებული შემოსავლები

დასახელება	2015წ	2014 წ
გრანტით შეძენილი ძირ.საშუალებები	19	19
შემოწირული წიგნები	615	762
შემოწირული ძ.საშ.	229	229
გრანტით გამოცემული წიგნები	2967	2977
	3830	3987

გრანტით შეძენილი და შემოწირული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მომავალში შემოსავალში აიღება ცვეთის დარიცხული თანხის შესაბამისად, ხოლო შემოწირული და გრანტის სახსრებით გამოცემული წიგნები – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

შპს. №7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	2015წ	2014 წ
მოწ.და მომსახ.წარმოშობილი ვალდებულებები	15553	4608
მიღებული ავანსები	88074	90209
გადასახდელი ხელფასები	0	3188
სხვა ვალდებულებები	1173	9810
	104800	107815

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებების მუხლში ჩართულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დარიცხული საბიუჯეტო გადასახადები, რომელთა გადახდის ვადა ბალანსის შედგენის თარიღისათვის ამოწურული არ არის. მათი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა:

შპს. №8

საბალანსო ვალდებულებები

დასახელება	2015 წ	2014წ
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	134	1235
გადასახდელი დღგ	4283	3749
	4417	4984

სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები

ამონაგები

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციიდან ნეტო ამონაგები შემდეგნაირად იშიფრება:

შპს. №9

ამონაგები

დასახელება	2015 წ	2014წ
რეალიზაცია	74955	84360
სასწავლო პროცესი	284270	293533
სხვა საოპერაციო შემოსავალი	115839	134184
სულ ამონაგები:	475064	512077

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

სხვა საწარმოო შემოსავლები

სხვა შემოსავლების შემადგენლობაში გაერთიანებულია შემოსავლები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდანაა შემოსული. მათი შემადგენლობა შემდეგია:

შპს. № 10

სხვა საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2015წ	2014წ
საწევრო კორპ.წევრების	109692	107269

საწევრო ნამდვილი და ასოცირებული წევრ,	101550	103299
გაწევრიანება	3345	3565
დივიდენდი	134211	107380
საპროცენტო შემოსავალი	38849	31768
შემოწ.და გრანტებით შექმნილი წიგნების რეალიზაციიდან	156	7319
არასასარჩელო შემოსავალი	13762	4530
კურსთა შორის სხვაობა	153077	37070
სხვა შემოსავალი	0	0
სულ სხვა საწარმოო შემოსავლები:	554642	402200

საწევრო შენატანები გულისხმობს დარიცხულ საწევროს..

სხვა საოპერაციო ხარჯი

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს წევრებთან დაკავშირებულ ხარჯებსა და არასაოპერაციო ხარჯებს

შენ.№ 11

სხვა საოპერაციო ხარჯი

დასახელება	2015წ	2014წ
გადახდილი საწევროები (აიფაკის)	11115	8710
ჩამოწერილი საწევროები	100205	85700
ჩამოწერილი ზ.ა.ს.	237	7911
ქველმოქმედება და დახმარება	1715	2435
უიმელო ვალი	10296	4212
არასაოპერაციო ხარჯი	838	1154
წარმომადგენლობითი ხარჯი	2001	850
ჯარიმები	0	757
მიღებ.დივიდენდის საშემოსავლო 5%	6711	5369
წევრთა ყრილობის ხარჯები	4224	8968
სულ სხვა საწარმოო ხარჯი:	137342	126066

შემოსავლებიდან გადასახადები

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადს ბაფი იხდის 15 პროცენტის ოდენობით. წლიური შედეგებიდან გამომდინარე მოგებამ დაბეგვრამდე

შეადგინა 98979 ლარი, საგადასახადო კორექტირებამ (166222) ლარი, ხოლო საგადასახადო ზარალმა (67243) ლარი.

საგადასახადო კორექტირება გაუკეთდა შემოსავლებს, რომლებიც მოგების გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება: საწევრო 214587 ლარი; დივიდენდი 134211 ლარი; ბანკის პროცენტი 38849 ლარი (სულ 387647 ლარი). კორექტირება შეეხო აგრეთვე ხარჯებს, რომლებიც გამოქვითვას არ ექვემდებარებოდა საგადასახადო მიზნებისათვის: წინა წელს გაუცემელი ხელფასი (6495) ლარი; მიღებული დივიდენდის დაკავებული საშემოსავლო 6711 ლარი;

საწევროს საეჭვო ვალის რეზერვი 83844 ლარი; წევრობიდან გასული წევრების ჩამოწერილი საწევრო 16361 ლარი; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გადახდილი საწევრო 11115 ლარი; ბაფ-ის წევრებთან დაკავშირებული დაქირავებით მომუშავეთა ხელფასი 55765 ლარი; ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ხარჯები 12600 ლარი; წევრთა ყრილობის ხარჯი 4224 ლარი, გამგეობის წევრების მივლინების ხარჯები 3355 ლარი, არაეკონომიურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯი 13186 ლარი, დახმარება და ქველმოქმედება 1330 ლარი; ჩამოწერილი გრძელვადიანი აქტივები 237 ლარი; მიკრომეწარმისაგან შეძენილი სასწავლო ლიტერატურა 576 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი 2001 ლარი, ჩაუთვლელი დღგ 6609 ლარი; არარეზიდენტის საშემოსავლო 50 ლარი; უიმედო ვალი 10296 ლარი; აგრეთვე ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო და საგადასახადო ცვეთის განსხვავებული ხარჯები 10960 ლარი; 1000 ლარზე ნაკლები ღირებულების შეძენილი გრძელვადიანი აქტივი (13340) ლარი; ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ხარისხის კონტროლის თარგმნილი მასალების ხარჯი 1980 ლარი; (სულ 221425 ლარი).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების დანართები

შენ.№ 12

კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები

დასახელება	2015წ	2014 წ
ლიტერატურის რეალიზაცია	42840	54606
სწავლებაზე და სერთიფიც.მიღ.თანხები	79184	130046
ACCA გამოცდა	216535	211040
დებიტორული დავალიანების დაფარვა	22021	18440
ორისის ინსტალაცია	39315	50093
მიღ ბუღი ავანსები	110342	115056
სულ კლიენტებიდან მიღებული თანხები:	510237	579281

შენ.№ 13

ბაღახდილი საწევრო

დასახელება	2015წ	2014წ
	თანხა	
აიფაკში გადახდილი საწევრო	11115	8711

ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციებში /ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია/
გადახდილი საწევრო გადასახადი.

შენ.№ 14

**ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო
ხარჯებზე გადახდილი თანხები:**

დასახელება	2015წ	2014წ
საიჯარო ქირა	85676	102048
კომუნალური	9103	12064
"კოდექსი"	946	600
როიალტი	565	2629
მივლინება	3137	18049
რეკლამა	3944	4355
ქსეროასლის გადაღება	621	993
კომპიუტერის ხარჯები	502	535
საგადასახადო და სხვა ლიტერატურა	670	195
ბანკის მომსახურება	1190	1153
ქველმოქმედება	1715	2435
ყრილობის და კონფერენციის	5384	9698
მანქ.მომსახ.ხარჯი	2044	3197
აუდიტორული მომსახურება	2500	6000
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	731	1670
სულ:	118728	165621

შენ.№ 15

სხვადასხვა ბაღასახადების ბაღახდა

დასახელება	2015 წ	2014 წ
მოგების გადასახადი	17	0
ქონების გადასახადი	1000	1117
გადასახდელი დღგ	49016	55397
საშემოსავლო გადასახადი	107446	109265
სულ გადასახადები:	157479	165779

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება ----- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
 და აუდიტორთა ფედერაცია

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ---- არასამეწარმეო არაკომერციული
 იურიდიული პირი (კავშირი)

იურიდიული მისამართი ----- ქ. თბილისი, წერეთლის ქ. № 61

დარგი (საქმიანობის სახე) ----- მომსახურება

ზომის ერთეული ----- ლარი

აღმასრულებელი დირექტორი: ლავრენტი ჭუმბურიძე

მთავარი ბუღალტერი: ქეთევან აბესალაშვილი